# სახალხო გაზეთი

№ 328 ხუთშაბათი, 16 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 328

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხალამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მესკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" (სურათებიანი დამატებით)
1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი"-ს
ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვახსენებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრა ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.



ქ. ფოთში 13 ივნისს ტრაგიკულად გარდაიცვალა
ალექსანდრე როსტომის ძე საბახტარიშვილი,
რასაც უგულითადესის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ლიზა ივანეს ასული, შვილები: გიორგი და მიხეილ, ძმა ბეჟან, შვილის-შვილი ნაშა და რძლები სოფიო დიმიტრის ასული და პელაგია იაკობის ასული საბახტარიშვილები. დაკრძალვა მოხდება 19 ივნისს, კვირას, ფოთის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (3—1349—2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.
კვირას, 19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისის მომხმარებელი საზოგადოება „მომავალი" გამართავს ლექციას ქართულ ენაზე
კოოპერაციაზე
ლექტორი—კ. პ. კანდელაკი. ფასები 5—10 კ.-მდე.
შინაარსი ლექციისა: იდეა ურთიერთ დახმარებისა და თანამედროვე კოოპერატიულ მოძრაობის მიზანი.—განსხვავება კერძო, აქციონერულ და კოოპერატიულ დაწესებულებათა შორის.—კოოპერატიულ მოძრაობის წინამორბედნი: ფურიე და რ. ბ. ოუენი.—„როჩდელის პატიოსანი პიონერები".—კოოპერაციის განვითარება ინგლისში (კოოპერაცია ქალაქში) და დანიაში (კოოპერაცია სოფლად).—საზოგადო მიმოხილვა კოოპერაციის მდგომარეობისა უცხოეთში და ჩვენში.—კოოპერატ. მოძრაობის უმთავრესი ფორმები. კოოპერაცია სოფლად.—მნიშვნელობა კოოპერაციისა თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში.
(2—665—1) მომხმარ. საზოგად. „მომავალი"-ს გამგეობა.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—70)

გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი
დრამატიული პოემა
„შვების თავადი"
ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.
„სახალხო გაზეთის" ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის ანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (20—1308—16)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 509.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
დბეთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.
მაღლაკელიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და აბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.
მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.
ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.
ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.
ხოზოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.
სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089—488)

მუშტაიდში
კვირას, 19 ივნისს, 1911 წ. გაიმართება
დიდი სეირნობა
ქართველ ქალთა მხანაგობის სახელოსნო სკოლის სასარგებლოდ. (4—634—1)

ვკისრულობთ
თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწდომ ფასებში.
ბაბილინა და ნარკანი.
(10—1345—2) იკითხეთ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

სანატორიუმი
და
საზაფხულო სამყოფი
ექ. ვახტანგ ღამბაშიძისა.
მოზარდ ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე.
მსურველთ ეგზავნებათ დაწვრილებითი ცნობები.
(10—660—3) მისამართი: ბორჯომით, პატარა ცემი ექიმს ვ. ღამბაშიძეს.

ქართველ ფარმაცევტების საყურადღებოდ!!
ავადმყოფობისა გამო იყიდება აფთიაქის მაღაზია. მოწყობილია მშვენივრად და დამსახურებულია პატივცემულ საზოგადოების ყურადღებით. წლიური გაჭრიგა 16,000 მანეთამდის; საქონელი 10,000 მ. იქნება. გაჭრობა შეიძლება გააორკეცოს კარგმა მუშაკმა, რადგანაც საკურორტო ქალაქია. ერთი წილი საჭიროა ნაღდი, ორი წილი გირაო.
ადრესი: სოხუმი, კოტლიარევის ქ., სახ. № 11. (3—1344—3)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.
ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.
უკრაინცევი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.
რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
ვეხელოვ-მოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ა. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.
კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—58)

დოქტორი მედიცინისა
ი. გ. ჩუდნოვსკი
გადავიდა
კიროჩნის ქუჩა სახ. № 18.
ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების პირდაპირ.
მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—4)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამოკვლევა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—41)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.
ე. ს. გაბაშვილი—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.
ა. ნ. დადიანიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.
შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
გ. ვ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
წამლობა „606"-ით.
(წ.—1090—85)

სურამში
კბილის ექიმი
ნინო რუხაძე
მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ე. გაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24 —78

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. ე)

ექიმი კბილისა ისიდორე ჟანტურია
გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიის ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68.
(თ.—1329.—9)

ქუთაისში
ექიმი მ. ი. ხუნკელი
შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.-1321—11)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. განეთის ქ. ტელეფონი N 816.

აბასთუმანში
კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—5)


## ტფილისი, 16 ივნისი

**თავად-აზნაურთა კრებებზე.** რაც მეტი დრო გადის, უფრო ცხადი ხდება, რომ თავად-აზნაურობისთვის არსებითად შეუძლებელია წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დადგომა. თავად-აზნაურთა კრებებზე ცხადად ისახება ის ორჭოფული მდგომარეობა, რომელშიაც საზოგადოდ მთელი თავად-აზნაურობა იმყოფება. დეპუტატთა საკრებულოს არა აქვს შედგენილი გარკვეული გეგმა მოქმედებისა, არც საზოგადო კრებას ეჩნევა სისტემა ფულების განაწილებაში. თვალი გადაავლეთ ხარჯთ-აღრიცხვას და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რა გაუვალი კედელია აღმართული გაუგებრობისა თქვენს წინაშე. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ხარჯთ-აღრიცხვის ის მუხლები, რომელნიც პროვინციალურ პროგიმნაზიებს შეეხება. რამდენიმე წელიწადია ერთი ნაწილი თავად-აზნაურობისა, უფრო პროგრესიული და ეროვნული, ებრძვის ამ პროგიმნაზიებს, მაგრამ გასაოცარი წმინდა ქართველური შეუგნებლობა თავად-აზნაურობის მეორე ნაწილისა შეუძლებლადა ჰხდის დასახულ მიზნის განხორციელებას. საქმე იმ ოთხი ათას მანეთში არ არის, რომელიც ამ პროგიმნაზიებს ეძლევა. უმთავრეს ყურადღებას თავად-აზნაურობის პროგრესიულ ნაწილისა იქცევს ის გარემოება, რომ თვით ქართველი თავად-აზნაურობა თავის ყოვლად უაზრო პოლიტიკით ხელს უწყობს ისეთს სასწავლებლების გავრცელებასა და გაძლიერებას, რომელთაც ვნების მეტი არაფერი მოაქვთ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა ჯურის სასწავლებლებიცაა ეს პროვინციალური პროგიმნაზიები, ვიცით, რომ ეს პროგიმნაზიები, ქართველ თავად-აზნაურობის დახმარებითვე მოღონიერებულნი, გადაიქცევიან წმინდა სახაზინო გიმნაზიებად. და ეს უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც უსაჭიროესი ეროვნული მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილებელი რჩება, როდესაც წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართული სამეურნეო, ქართული ფილარმონიული საზოგადოებანი და სხვა მრავალნი მოკლებულნი არიან ჯეროვან დახმარებას. დღითი-დღე მოთხოვნილებანი პროვინციალურ პროგიმნაზიებისა გაიზრდება, თავად-აზნაურობის შეგნებულმა ნაწილმა ეხლავე არ მოუსპო ეს სუბსიდიები პროგიმნაზიებს. ქართველ საზოგადოებას ბევრი საჭიროებანი აქვს, უფრო უმწვავესი და დღემდის სრულიად დაუკმაყოფილებელი. ვისაც მართლა გულწრფელადა სურს ერის სამსახური, ჯერ თვითონ ერი უნდა ახსოვდეს. პროგიმნაზიებსა და გიმნაზიების გავრცელებაზე თვით სამინისტრო ზრუნავს, სახალხო განათლება კი, და მით უფრო ეროვნული სახალხო განათლება, ან რაციონალურად მოწყობილი სპეციალური განათლება ყველასაგან უყურადღებოდაა დატოვებული. ამისთანა პირობებში პროგიმნაზიებზე საზოგადო ფულების ხარჯვა ისეთი საქციელია, თუ მას ეროვნულ ინტერესების თვალსაზრისით შევხედავთ, რომელიც დანაშაულობას უდრის.

თავად-აზნაურობის საზოგადო კრებამაც დანაშაულობა ჩაიდინა, როდესაც ამ პროგიმნაზიებს ფული მისცა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **პეტერბურგიდან შინაგ. საქ. მინისტრის განკარგულებით,** პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ანტონ იოსების ძე გეგელაშვილი, რომელიც ამ წლის 2 მარტს დააპატიმრეს, საპყრობილიდან განთავისუფლებულ იქმნა და 2 წლით ქ. ქუთაისში იგზავნება პოლიციის მხედველობის ქვეშ საცხოვრებლად.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის** თანაშემწეობას ამ ჟამად დროებით ასრულებს გზის უფროსის თანაშემწე ინჟინერი ნ. მ. ზურაბოვი.

✦ **გიმნაზიელ ქამაროვის გატაცების საქმის გამო დაპატიმრებულთა ბედი** ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. საქმე აქამდე ტფ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელთან იყო, ხოლო 10 ივნისს ტფ. გუბერნატორს გაეგზავნა.

✦ **ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი დღეს ავჭალაში მიემგზავრებიან** წყალსადენისა და თვით სოფლის სანიტარულად შესამოწმებლად.

✦ **სენატორი ვეტაცი** უკვე დაბრუნდა ტფილისში ვორონცოვკიდან, სადაც იგი წასული იყო მეწველ საქონლის გამოფენის დასათვალიერებლად.

✦ **ა. ი. ხატისოვმა ქუთაისის ქალაქის მოურავის ი. ჩიქოვანისაგან დეპეშა მიიღო,** რომლითაც ქუთაისის ქალაქის საბჭო ტფილისის ქალაქის თვითმმართველობასა და მის წარმომადგენლებს მადლობას უცხადებს კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა პირველ კრების მოწვევისათვის.

✦ **ბ-ნი სალათელიანი,** სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

✦ **მიწად-მოქმედ და მიწად-მომწყობ** მთავარ სამმართველოს შინა მრეწველობის ტეხნიკმა ს. ვ. რომანენკომ უკვე დაათვალიერა, კავკასიის შინა-მრეწველობის სხვა და სხვა რაიონები და ეხლა ამავე მიზნით რუსეთის ზოგიერთ ადგილებში გაემგზავრა.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების" ივნისის ნომერი. ნომერში ბევრი საყურადღებო მასალაა მოთავსებული.

✦ გამოვიდა **ახალი ჟურნალი** ტფილისის გუბერნიის ტყის მოურავების კრებისა 1908—9 წლებში.

✦ **საჩუქარი.** ქალაქის შემფასებელ-აღმასრულებელ კომისიაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ უძრავ ქონების შემფასებლებს მუშაობის დამთავრების შემდეგ საჩუქრად მიეცეთ თვიური ჯამაგირი თითოს—100 მან.

✦ **ვაჭართა მამასახლისს ა. ნ. მილოვის თაოსნობით** მოკლე ხანში ტფილისის ვაჭრობის განვითარების ისტორიის შედგენას შეუდგებიან. ბ-ნმა მილოვმა ვაჭრებს სთხოვა საჭირო მასალა მიაწოდონ.

✦ **ნახიჩევანი.** 12 ივნისს დილით მდინარე არაქსზე სათევზაოდ წასულან რკინის გზის მეთვრამეტე ნაწილის საქმის მწარმოებელი ი. მ. იზმაილოვი და მოხელეები ლიტვინოვი და დონდოლაძე. სადილს შემდეგ ბანაობა დაუწყვიათ. გრიგოლ დონდოლაძეს გაუცურავს მეორე ნაპირზე. იქ რამდენიმე ხანი დაუსვენებია და ისევ უკან გამობრუნებულა. შუაგულ წყალში რომ მოსულა მ-

შინებული და ამხანაგებისთვის დაუძახნია, მიშველეთ ვიხრჩებიო; ამხანაგებიც და სხვებიც მისშველებიან, მაგრამ ცდას ამაოდ ჩაუვლია. წყალს უცებ მოუტაცნია ყმაწვილი და დაუხრჩვია. დამხრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უპოვიათ.

✦ ტფილისის მომხმარებელი საზოგადოების „მომავალის“ გამგეობას განუზრახავს ამ მოკლე ხანში გამართოს ლექციები რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე, რათა გააცნოს საზოგადოების ფართე ნაწილს მნიშვნელობა კოოპერაციისა. პირველ ლექციას წაიკითხავს ქართულ ენაზე კ. პ. კანდელაკი კვირას, 19 ივნისს, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ნაშუადღევის 4 საათზე, მხოლოდ 26 ივნისს ამავე თემაზე სომხურად წაიკითხავს ბ-ნი არტემიუსი.

## წვრილი ამბები

✦ ბელინსკის ქუჩაზე, დედ-მამის ბინაზე, შეიპყრეს გორის მაზრის სოფელ ქვემო-ჭალის მცხოვრები ივანე კონსტანტინეს ძე თაზიევი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა. პოლიციის ცნობით, იგი ლევან მოსეს ძე დათებაშვილის პასპორტით სცხოვრობდა ტფილისში.

✦ 11 ივნისს მტკვარში დამხრჩვალ უცნობ კაცის ვინაობა გამოირკვა. აღმოჩნდა, ისაკ იაკობის ძე მირველოვი.

✦ 14 ივნისს თავი მოიწამლა ვარსენიკა ჯანიკოვის ქალმა, რომელიც მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ 14 ივნისს ტფილისში შეიპყრეს ალექსანდრე როგოჟნევი, რომელიც გადასახლებული იყო და ტფილისში თავის ნებით დაბრუნდა.

✦ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო კიევის საიმპერატორო წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის სტუდენტთ ექსკურსანტებს, ტფილისში დაჰყონ 5 ივნისიდან 15 აგვისტომდე. პოლიცმეისტერმა თავის მხრივ პოლიციელთ უბძანა ექსკურსანტებს ყოველგვარი კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ.

✦ 14 ივნისს, ღამის 12 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ორი უცნობი თავს დაეცა მეფურნეს გარეგინ ჩარჩიანს და 30 მანეთი წაართვეს. პოლიციამ ეჭვით შეიპყრო ილია გიორგის ძე ჭადაკავა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ ახალი საზოგადოება. ქალაქის საბჭოს მდივნისა მ. ა. ჯაბარისა, გამგეობის წევრის გ. დ. ქურულისა, თავ. პ. მ. არღუთინსკისა, ინჟინერ ი. ი. კოგნოვიცკისა და ვ. ი. რცხილაძის თაოსნობით ტფილისში არსდება საქალაქო საქმეთა შესასწავლი საზოგადოება, რომლის წესდება უკვე წარედგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად.

## სასწავლებლებში

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი 20 ივნისიდან ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მოაწყობს კურსებს კალათების დაწვნის შესასწავლად. ეს კურსები ორ თვეს გაგრძელდება. სწავლა მსურველთათვის უფასოა. მსმენელნი გადაიხდიან მხოლოდ მასალის ფასს, რაც დასჭირდებათ ორი თვის განმავლობაში (გამოანგარიშებით არა უმეტეს 20 მანეთისა). კურსებზე საშუალო სასწავლებლის მოწაფეთა გარდა გარეშე პირთაც შეუძლიათ ჩაწერა.

ამიტომ ოლქის მზრუნველმა კავკასიის მიწად-მოქმედ და მიწადმოქმედთ მთავარ გამგეს მიჰმართა შეატყობინოს, სასურველია თუ არა, რომ მისდამი რწმუნებულ გამგეობისაგანაც იყოს კურსებზე მსმენელი და თუ გამოიგზავნება რომელიმე მოხელე, წინადვე აცნობოს, რათა მისთვის სათადარიგოდ კურსებზე ადგილი შეინახოს.

✦ ტფილისის ქალთა მესამე გიმნაზიის 7 კლასის კურსი წელს 66 ქალმა დაასრულა; მათ რიცხვში ოთხი ქართველია: ა. ამირეჯიბი, მ. ყანჩაველი, ტ. წერეთელი, და ტ. ერისთავი.

## რკინის გზაზე

✦ კავკასიის რკინის გზის მთავარ სამმართველოს მიმოსვლის განყოფილების მსახურთ გარდაცვალებულის უფროსის გენერალ ნეიგებაუერის ცხედრის გვირგვინის შესამკობად 200 მანეთი გაუგზავნიათ. გვირგვინები დანარჩენ საზოგადოებასაც გაუგზავნია.

✦ მიმოსვლისვე განყოფილებაში შესდგა კომიტეტი, რომელიც გამართავს მოსამსახურეთა შორის ხელის მოწერას, რათა შეგროვდეს თანხა ნეიგებაუერის სახელობის სტიპენდიისათვის, რომელიც რკინის გზის უღარიბეს მსახურის შვილს დაენიშნება უმაღლეს სასწავლებელში.

## ქუთაისი

✦ საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს წერეთელი, მის მოადგილედ თ-დი ს. მიქელაძე.

✦ იმ ფულიდან, რომელიც გადიდო სხვადასხვა საჭიროებისათვის ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განკარგულებაში, განზრახულია 514 მ. მიეცეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, 100 მ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას და 100 მ. ბაგრატის ტაძრის გალავანის შემოსავლებლად.

✦ კვირას, 12 ივნისს, შესდგა სტუდენტების დამხმარე საზოგადოების წლიური კრება, მხოლოდ 2—3 წევრი გამოცხადდა. რადგან კრება მეორედ იყო მოწვეული, დამსწრეთ თავმჯდომარედ აირჩიეს ექიმი სვიმონ ხეჩინოვი და მცირე თათბირის შემდეგ კრება შესწყვიტეს იმ აზრით, რომ ქუთაისის ინტელიგენციას აცნობონ საზოგადოების უკიდურესი მდგომარეობა და სთხოვონ კრების გაგრძელებაზე დასწრებით და წევრებად ჩაწერით ხელი შეუწყონ საზოგადოების აღორძინებას. შესდგა კამისია, რომელმაც უნდა შეადგინოს მოწოდების წერილები. („კოლხიდა“).

✦ წელს აბრეშუმის პარკის ყიდვა გაყიდვის მოსაწესრიგებლად დასავლეთ-საქართველოს სხვადასხვა საბრეშუმო მიდამოებში—ქუთაისსა, სამტრედიასა, დიდ-ჯიხაიშსა, აბაშასა, სენაკსა, ხონსა, ზუგდიდსა, ლანჩხუთსა, ჩოხატაურს და ოზურგეთში მოწყობილი იქნება ცალკე ბაზარი საზოგადო სასწორით, რომელსაც უნდა განაგებდეს საიმედო კეთილ-სინდისიერ პირთაგან არჩეული კომისია. ამის შესახებ ქუთაისის გუბერნატორმა დაუგზავნა მაზრის უფროსებს მიწერილობა, რომლითაც წინადადება ეძლევა მაზრისა და სოფლის პოლიციას დახმარება გაუწიოს ინსტრუქტორს ი. ქუთათელაძეს პარკის ბაზრის მოწესრიგების საქმეში. სასტიკად აკრძალულია ჩარჩ-ბაცაცების წოწიალი სოფლად და სხვა.

✦ შაბათს საღამოს, 18 ამ თვეს, ქუთაისის ქალაქის თეატრში ბ. სიმონ ქვარიანი კითხულობს ლექციას დიდ მოურავ გიორგი სააკაძეზე და სურს დაახასიათოს ამ ქართველი გმირის დიდი ღვაწლი.

## პროვინცია

✦ ბორჯომში. გამოურკვეველ მიზეზებისა გამო დაიწვა ტფ. სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკისა და მემამულის სიმონ ნალბანდოვის სახლები.

✦ დუშეთის მაზრა. წყალ დიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ადგილობრივ მკვიდრთ. მდინარე ქსანკას სოფ. ოძისში მოუგლეჯია და წაუღია ბ-ნ ერისთავის 2 დესეტინა სახნავი მიწა, 4 დესეტინა სახაზინო და 3 დესეტინა გლეხებისა; გარდა ამისა გაუფუჭებია არხი $1\frac{1}{2}$ ვერსის მანძილზე. საერთოდ ზარალი 1,600 მანეთს უდრის. წყალს წაუღლეკია აგრეთვე ბაღებში გაყვანილი სარწყავი არხები და 70 დესეტინა ვენახ-ბაღები.

## სიღნაღი

✦ 12 ივნისს ღამის 10 საათზე ნ. გოცირიძის სახლის წინ ეტლიდან გადმოუსვამთ უცნობი დაცოფილი ლეკი. ერთი საათის შემდეგ გარდაცვლილა. გოცირიძეს მაშინვე შეუტყობინებია პოლიციისათვის, მაგრამ დილამდის არავინ მოვიდა და გოცირიძეს იმის შიშით, რომ ცხედარი არაფერს შეექამა, მთელი ღამე მოუხდა დარაჯობა.

✦ სიღნაღში 16-მდე ჟურნალ-გაზეთი მოდის, მაგრამ მკითხველები ნაკლებად მოიპოვება და ამიტომ ნახევარი იმათგან გაუყიდველი რჩება.

## ახალციხე

✦ გავლილ კვირეში, ქალაქიდან 3—4 ვერსის გარედ, აბასთუმნის გზატკეცილზე, ვიღაც წუწკ ბოროტ-მომქმედთ დღისით გაუძარცვავთ ადგილობრივი ებრაელი, რომლისთვისაც თავში სუბუქი ჭრილობის შემდეგ, 180 მან. წაურთმევიათ და არხეინად წასულან. ადგილობრივ პოლიციას სამი ბოროტ-მომქმედი მეორე დღესვე შეუპყრია.

✦ იქიდანვე. ადგილობრივ სასწავლებლებში ყველგან გათავდა გამოცდები და 1-ლ ივნისისთვის დაითხოვეს საზაფხულოდ. ჩვენმა მამებმა უარი უთხრეს გრ. ყაიბეგოვს შენობის ყიდვაზე.

✦ სოფ. ხიზაბავრა (ჯავახეთი). ადგილობრივ ვენახებს წელს სრულებით არაფერი არასხია, რადგან შესცივდა ვაზსა. ახალი ჯეჯილი კი კარგია ხშირი წვიმებისა გამო.

## სოხუმი

✦ ამ დღეებში სტუდენტი პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტისა ლადო გეგეჭკორი წაიკითხავს საჯარო ლექციას: „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია“.

✦ დააპატიმრეს ბ-ნი ახალაია, რომელიც შუამდგომლობდა თავიანთ კარ-მიდამოდან აყრილ პარნაუთელთათვის.

## სომეხთა ცხოვრება

✦ მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის ახალ შენობის აგების საქმე წინ მიდის. ამ დღეებში შენობა დაათვალიერა განსვენებულ ა. ი. მანთაშევის შვილმა ლეონმა და 25 ათასი მანეთი კიდევ შესწირა შენობის დასამთავრებლად.

✦ სანატორია. პიატიგორსკში სანატორია არსდება სომხის მასწავლებელთათვის.

# თავად-აზნაურთა
## საგუბერნიო კრებაზე

14 ივნისი.

წინა კრების ოქმი წაიკითხეს.

თ-დ დ. გ. ჯორჯაძე ითხოვს ოქმში შეტანილი იყოს, რომ გუშინ ინციდენტის დროს ბ-მა თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა და თ-დ აბხაზმა შემდეგ შემოიტანა წინადადება თ-დ გ. დიასამიძის დათხოვნაზე; რაც შეეხება თ-დ გ. ამირეჯიბის დათხოვნას ეს შემდეგ დაუმატა.

თ-დ აბხაზი. უარყოფს ამას. მე თავიდანვე დავასახელე თ-დ გ. ამირეჯიბიც, მაგრამ თავმჯდომარემ ვერ გაიგო და მერე გაუმეორეო.

ალ. ყანჩელი ითხოვს ოქმში შეიტანონ, რომ აბხაზის წინადადების შემდეგ თ-დ გ. დიასამიძემ სიტყვა ითხოვა და თავმჯდომარემ არ მისცა.

შემდეგ სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას განაგრძობენ.

ალ. ყანჩელი თავად-აზნაურობის სტიპენდიების თაობაზე უმაღლეს სასწავლებელში ჰკითხულობს: რატომ განთავისუფლებულ ადგილებზე ახალ სტიპენდიანტებს არ ნიშნავთო?

თავმჯდ. თ-დ ბაგრატიონ-დავ. ასეთი იყო თქვენივე დადგენილება შარშან; თუ დღეს იგი არა გსურთ, შესცვალეთ. ამ საკითხზე თქვენი აზრი გამოსთქვით.

გადაწყდა, მომავალ წლისთვის დეპუტატთა საკრებულომ დაამზადოს მოხსენება ამ საკითხზე: მოისპოს სულ სტიპენდიები, თუ გაგრძელდეს.

ა. ყანჩელი. საშუალო სასწავლებელთა დახმარებაც არ არის რიგიანად მოწყობილი. შეუძლებელია აუარებელი შეცდომები არ ჩავიდინოთ მათ დანაწილებაში, როდესაც იგი პიროვნებათ ენიშნებათ. მოლაპარაკე წინადადებას იძლევა განსაზღვრული თანხა მიეცეს რომელიმე დაწესებულებას და იმან აძლიოს შემწეობა ჩვენი დაკითხვით.

თ-დი აფხაზი წინადადებას იძლევა სულ გამოირიცხოს ეს მუხლი.

თ-დი მ. გ. მაჩაბელი მას არ ეთანხმება. სამართლიანობა მოითხოვს ის თანხა არსებობდეს, რომ თავის დროზე ცოტ-ცოტა დახმარება აღმოუჩინოთ იმ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც რაიმე შემთხვევით ტფილისის ქართ. გიმნაზიაში ვერ მოხვდნენ და სხვა სასწავლებლებში არიან. უსამართლობა იქნება, როდესაც რომელიმე სასწავლებლის ინსპექტორი შუამდგომლობს მოწაფის დახმარებაზე, მას უარი უთხრათ, რადგანაც ისინი იმავ ღარიბ თ.-აზ.-ს შვილები არიან, როგორც ტფ. ქართ. გიმნაზიაში მოსწავლენი.

გ. მუსხელიშვილს შეუფერებლად მიაჩნია ამ საკითხის სამართლიანობის თვალსაზრისით განხილვა, რადგანაც ეს საკითხს დააბნელებს. ჩვენ უნდა პრინციპიალურად გადავწყვიტოთ იგი. აქ კი მოლაპარაკე მომხრეა—ეს თანხა გადაეცეს დაწესებულებათ. ამას მხარს უჭერს დ. ვაჩნაძეც.

თ-დ. ჩოლოყაშვილი ამ მუხლს ესარჩლება. ეს თანხა უნდა ჰქონდეს მოულოდნელ შემთხვევისათვის თავ-აზ-ს, რადგანაც მე ვიცი მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი თუმნისათვის მოწაფეს მე 6-ე, მე-8 კლასიდან ითხოვენ.

კრებამ დასტოვა სავ. ხარჯთ-აღრ. თანხა—3 ათასი.

ერთხმად ამტკიცებენ ხარჯთ-აღრ-ს თანხას 5 ათასს წინამძღვარიანთ კარის სკოლისათვის.

წინამძღვარიშვილი ითხოვს კიდევ დამატებით თანხად 3 ათასს მან.

გადასწყვიტეს ამაზე მაშინ იმსჯელონ, როდესაც სხვა მუხლებსაც განიხილავენ და დაინახავენ, საიდან უნდა აიღონ ეს თანხა.

თ-დ გ. დიასამიძე (აღელვებულია) აღნიშნავს, რომ აქ, ამ საქმეში, უნდა ნამდვილი ქველმოქმედება გამოჩენილიყო. შემდეგ წინადადებას იძლევა მადლობა გამოუცხადონ ბ-ნ წინამძღვარიშვილს... (წინამძ.-ს ტაშს უკრავენ).

ალ. ყანჩელი ჰკითხულობს, ვინ იგულისხმებიან მე 13 §-ში?

თ-დ. აბხაზიც ითხოვს ეს მუხლი ახსნან, რათა გავეცნოთ, რა საზოგადოებანი და პირები არიან და რას ითხოვენო.

მდივანი კითხულობს სიას: ს. ვ. ჩერქეზიშვილის წინადადება: გადაიდოს თანხა ქ. ოქსფორდში დაარსებულ ქართული ენისა და ისტორიის კათედრისათვის. 2) მღ. თამარაშვილის თხოვნა შემწეობისა მისი წიგნის გამოცემისათვის. 3) პრ. მარის მოხსენება ქალაქ ანში წარმოებულ კვლევისათვის დახმარება. 4) ფილარმონიული საზოგადოების თხოვნა მის მიერ გახსნილ სასწავლებლისათვის. 7) ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგ. და ასე 16-მდე.

# მარგალიტის თვალი და აპოკრებული მწვანე რტო

(ზ ღ ა პ ა რ ი).

იმან, ვისაც არა ერთხელ გაუცია ბრძანება თავის სამფლობელოში, ბრძანა:

— ამ თვის უკანასკნელი დღე უნდა იდღესასწაულოს ერმა, რადგანაც იგი მისი სახელობის დღეა!

ეს ბრძანება გადაეცა ერს თვის პირველ რიცხვში.

ერის დიდებულნი პირველ დღიდანვე შეუდგნენ სადღესასწაულოდ მზადებას. შეკრბენ ისინი მდიდრულად მორთულს დარბაზში, რომლის იატაკზე ეფინა აბრეშუმის ნოხები და კედელზე ეკიდა თვალმარგალიტით მორთმული მრავალი ნივთი—ერის სიმდიდრე. პირველი დიდებული ჩაბრძანდა მარმარილოს სავარძელში, რომლის ზურგის შუა ადგილას სპილოს ძვლით ამოყვანილი იყო სამეფოს გვირგვინი. ტახტის ორივ მხრით ისხდნენ მრისხანე ლომები და მედიდურად გამოიყურებოდნენ.

პირველმა დიდებულმა მოიწვია დამსწრენი სადარბაზოდ.

— დიდებულნო! დიდმა მეფემ მოგვიწოდა სადღესასწაულოდ! ღირსეულად უნდა დაუხვდეთ იმ შესანიშნავს დღეს! ჩვენი, დიდებულთა, ვალია შევამკოთ იმ დღეს ჩვენი ქვეყნის გამგებელი მეფე,—ჩვენი ერის ძალა და დიდება! ბრძანეთ თვითეულმა, რათა გამოირკვეს მაღალი კრების საერთო სურვილი.

— მომეცით ნება ჩემის მცირე ღონით ვიკისრო ერთი საქმე, დიდებულნო!—წარსდგა კრების წინაშე ერთი დიდებულთაგანი,—მოგეხსენებათ, უხსოვარ დროიდან ჩვენი მდიდარი ზღვის ფსკერზე მიკრულია მარგალიტის თვალი, სავსე მთვარეს რომ ემსგავსება სიდიდით და სხივოსნობით კი—ვარსკვლავს. მომეცით რჩეული მეზღვაურნი ჩვენი ქვეყნისა, და მე მოვსწყვეტ ზღვის ფსკერს უძვირფასეს განძს!

ნება დართეს დიდებულს გასულიყო ზღვად და წაეყვანა მეზღვაურნი.

— მე მზად ვარ,—დაიწყო მეორემ,—რჩეული ვაჟკაცებით გავიჭრა მთებში და ცოცხლად შევიპყრო ის ზღაპრული ირემი, რომელიც რქებ შუა დაატარებს კაცის მიერ ჯერ უხილავს ჯადო ქვას! თუ ზღვის ფსკერიდან ამოტანილი უდიდესი მარგალიტი დაუმშვენებს ჩვენს მეფეს გვირგვინს, მიუვალ მთების ირემის ყოლა შორს ქვეყნების სამეფოებსაც მოსდებს ჩვენი მეფის სახელს.

სიხარულით მოისმინეს ამ დიდებულის წინადადებაც და ნება მისცეს გამგზავრებულიყო მთებში ქვეყნის რჩეული ვაჟკაცებით.

თითოეულმა იკისრა მსგავსი საქმე ჰაბუკთ დაევალათ მორთულიყვნენ თვალწარმტაცად და დაემშვენებინათ ტანადობითა და მორთულობით საერო მოედანი, სადაც შეკრბებოდა მთელი ერი ტაძარში შესვლის წინ. გადასწყვიტეს მხოლოდ იმ დღისთვის ეზრუნვათ, მხოლოდ იმ დღეზედა ეფიქრნათ. რაც შეეხება ერის მდაბიო უბრალო ხალხს, მოისმინა მან ბრძანება დღესასწაულზე თუ არა, შემდეგი დაავალა თავის პატარა შვილებს:

— გეჭიროთ ხელში პატარა დანები, აირჩიეთ თითო ხე და ყოველი წარსული დღე ჩაჭრით აღნიშნეთ მიჩნეულს ხეზე. როცა ოცდაცხრაჯერ დაჭდირავთ, შეგვატყობინეთ, რათა არ შევცდეს და მონაწილეობა მივიღოთ საერო დღესასწაულში!

ასე უთხრა ხალხმა თავის პატარა შვილებს. შემდეგ ზოგი, ვინ თოხი და ვინ ნამგალი, და გაეშურა სამუშაოდ. თითოეული შეუდგა თავის საქმეს, რათა არ დაეკლო ოჯახისათვის სარჩო და ერისათვის—საბადებელი.

**

იმ დიდებულმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ზღვის განძის მოპოვება, აირჩია ორასი რჩეული მეზღვაური და მრავალს ნავებზე შესცურა ზღვაში.

ჩადიოდნენ მეზღვაურები ზღვაში და ამოჰქონდათ ზღვის ძირიდან ერთი-მეორეზე უკეთესი მარგალიტები. არ ჯერდებოდა დიდებული. მძიმე მუშაობაში გაატარეს მეზღვაურებმა ოცდა ხუთი დღე, მაგრამ ძვირფასი მარგალიტები ვერ იპოვეს. ბოლოს მოიქანცნენ. ბევრმა ზღვის ზედაპირს ვეღარ მიაღწია; დარჩა დიდებულს ასი კაცი. ოცდამეცხრე დღეს ერთმა მეზღვაურმა მიაგნო ძვირფას ქვას და ამოიტანა.

— აჰა! ეს არის ის, რაც საშვილიშვილოდ დაამშვენებს მეფის გვირგვინს!—გახარებით სთქვა დიდებულმა და უბრძანა მეზღვაურთ შეკრებილიყვნენ და ნაპირისკენ გაეცურათ, მაგრამ დაინახა, რომ ერთი მეზღვაური-ღა შერჩენოდა დიდებულს, დანარჩენები დაღუპულიყვნენ.

დიდებული გახარებული მოცურავდა ნაპირისკენ, რადგანაც ხელთ ეპყრა უძვირფასესი მარგალიტი, ზღვის მიუწდომელი განძი.

**

დიდებულმა კი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მთის ირემის ცოცხლად შეპყრობა, აიყვანა ორასი დახელოვნებული მონადირე და მთებში გაიჭრა. ოცდა რვა დღე ინადირა და მხოლოდ ოცდა მეცხრე დღეს მიუვალს კლდეში შეამწყვდია ძვირი ნადირი. აგზავნა მის შესაპყრობად მონადირენი. სალს კლდეზე ფეხები უსხლტებოდათ ყრმათ და ძირს სცვიოდნენ, უძირო, შავს უფსკრულში სულსა ლევდნენ. ბოლოს ერთმა სძლია დაბრკოლებანი, ავიდა ციცაბო კლდეზე და შეიპყრო ჯადო ქვის მატარებელი ირემი: ორასი კაციდან მხოლოდ ერთიღა დარჩენილიყო ცოცხალი.

დაბრუნდა დიდებული დიდი სიხარულით: სასახელო ირემი მოჰყავდა.

***

როცა მოუახლოვდა სადღესასწაულო დღე, ზღვაში დახოცილთა დედებმა გაიგეს შვილების სიკვდილი და შავში შეიმოსენ. ძუძუ ასტკივდათ დედებს. ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ და ჩუმად მოსთქვამდნენ, რადგანაც დღესასწაული მოახლოვებულიყო და ტირილი არ შეიძლებოდა.

გაიგეს მთებში დახოცილთა დედებმაც შვილების დაღუპვა და შავ ტანთსაცმელით შეიმოსნენ. ძუძუ ასტკივდათ დედებს. ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ და ჩუმად მოსთქვამდნენ, რადგანაც დღესასწაული დგებოდა და ტირილი არ შეიძლებოდა.

**

გათენდა სადღესასწაულო დღეც! ჩამოჰკრეს ზარებს, ამცნეს ერს დიდებული დღე.

გამოეწყო ერი სადღესასწაულოდ და გაემართა მოედნისკენ, სადაც ყველანი უნდა შეკრებილიყვნენ ტაძარში შესვლის წინ.

დიდებულები თვალ-წარმტაცად დარაზმულიყვნენ და ალყად შემორტყმოდნენ მოედანს, რომლის შუა ადგილას ამართული იყო დიადი ტახტი მეფის დასაბრძანებლად. ყოველ მხრით ბაირაღები იყო გაშლილი. დღეც მზიანი დადგა.

გამობრძანდა მეფე თავის სასახლიდან და დიდებულებით გარს შემორტყმული წარემართა მოედნისკენ. მიესალმნენ მეფეს, მიულოცეს დღესასწაული.

აბძანდა მეფე ტახტზე. პირველმა დიდებულმა მიართვა მას მარგალიტი. გაიკვირვა მეფემ: მასაც არ ენახა მსგავსი განძი.

— ვინ მოსტაცა ზღვას ეს დიადი განძი? ვისმა ხელმა მოსწყვიტა ზღვის მდიდარს ფსკერს ეს ძვირი თვალი?

იმავე დიდებულმა მიართვა მეფეს ცოცხალი ირემი, რომელსაც რქებშუა ეპყრა ჯადო ქვა! გაიხარა ბრძანებელმა.

— ვისმა ხელმა შეიპყრო ცოცხლად ეს მთის სიამაყე? მიჩვენეთ იგი!

— შენს საფლობელოში, დიდო მეფეო, ვაჟკაცები უთვალავია! ოღონდ შენ გასიამოვნონ და ცას მოღუნავენ და შენთა ფერხთა დასცემენ, ქვესკნელს ჩავლენ და შენს სინათლეს მოჰფენენ შავს ბნელეთს!!

თ.-დი ჯორჯაძე, ამირეჯიბი და სხვანი წინადადებას იძლევიან ამ სიიდან გამოაცალკეონ რამდენიმე საკითხი და ცალკე მუხლად შეიტანონ ხარჯთ-აღრიცხვაში. მასთან ეკითხებიან: როდესაც ამდენ ფულს აძლევთ სხვა-დასხვა სასწავლებლებს, ჰკითხულობთ მაინცა, როგორ მიდის იქ საქმეები?

თავმჯდ. ბაგრატ.-დავ. შარშანდელამდე მე-13 §-ში მოხსენებული ყველა დაწესებულებანი ცალკ-ცალკე გვქონდა მოხსენებული, მაგრამ კრებამ დაინახა შესაძლებლად დროს შესამოკლებლად ერთ მუხლში ყოფილიყვნენ მოქცეულნი.

გ. დიასამიძე მომხრეა ყველა ესენი მუხლ-მუხლად მოიხსენიონ, რომ ყოველთვის თვალ-წინა გვქონდეს და არ გვავიწყდებოდეს მათი არსებობა და საჭიროება. მოლაპარაკეთა მთელი რიგი სხვადასხვა წინადადებებს იძლევა, თუ რომელი დაწესებულებანი გამოაცალკევონ მე-13 პარაგრაფიდან.

ივ. რატიშვილი. როდესაც საქმე სასწავლებლებზე მიდგება, შემდეგი წესი უნდა მიიღოთ: წერა-კითხვის საზოგადოების დანიშნულებაა ყურადღება მიაქციოს პირველ-დაწყებით სახალხო განათლებას და მეორეს მხრივ გვყავს საგიმნაზიო კომიტეტი, რომელსაც ებარება გიმნაზიის ბედ-იღბალი ე. ი. საშუალო განათლების საქმე. აი, ამის მიხედვითვე, როდესაც საქმე გვაქვს რომელიმე სასწავლებელთან, უნდა გამოვარკვიოთ რომელი ტიპისაა იგი: საშუალოა თუ პირველ-დაწყებითი. თუ საშუალოა ამისათვის თავად-აზნაურობამ გიმნაზიის კომიტეტს მისცეს საჭირო თანხა და იგი გაუძღვება მის საქმეს, თუ კი მეორე ტიპისაა, მაშინ წ.-კ. საზოგადოება მოუვლის, მხოლოდ ამისათვის კი თანხა თ.-აზ.—მ უნდა მისცეს.

მ. ქ. ყიფიანი. ჩვენში ყოველი სასწავლებელი ისეთი გაჭირვებით იხსნება, რომ შემწეობა ყველას ესაჭიროება; მხოლოდ ყველას ერთნაირად ვერ გაუწევთ მფარველობას. ის სასწავლებლები, რომელნიც ჩვენს ყოფნის, არსებობის საქმეს პირდაპირ ემსახურებიან, არ შეიძლება ერთ დონეზე დავაყენოთ იმათთან, რომელნიც არა თუ ამავე საქმეს არ უწყობენ ხელს, შეიძლება ძირსაც უთხრიან მას.

თავმჯ. თ-დ. ბაგრ.-დავ. განმარტავს, რომ ზოგიერთნი ამ სასწავლებელთაგან უთუოდ საჭიროებენ დახმარებას და ზოგში კიდევ იმიტომ უნდა დავეხმაროთ, რომ იქ გავლენა არ დაგვეკარგოს. თუ იმათ დახმარებას მოუსპობთ, იქ ხმებსაც დავკარგავთ.

შ. მესხიშვილი აღნიშნავს, რომ ესეთი დახმარება სამუდამოდ გაყინულ თანხას წარმოადგენს. იგი წინააღმდეგია სახაზინო სასწავლებლებს ეძლეოდეს შემწეობა, რაც შეეხება იქ გავლენას, მოლაპარაკეს ეს თავის მოტყუებად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკა თ-აზ. არ არის ჩვენთვის სასარგებლო, ის თავის კერძო-წოდებრივ ინტერესებს ემსახურება. წინადადებას იძლევა მოლაპარაკე სრულიად გამოირიცხოს ნ-დან 10 პარაგრაფამდე მთელი ხარჯი და ეს ფულები გადაეცეს წ. კ. საზოგადოებას.

მუხლობით განხილვას შეუდგნენ. ფარული კენჭის ყრით დაამტკიცეს ხუთივე მუხლი სავარ. ხარჯთ-აღრიც. ე. ი. დასტოვეს დეპუტ. საკრებულოს განაწილება. ორთა-შუა რიცხვით მომხრე აღმოჩნდა 50 და წინააღმდეგი კი 40. ამ შემწეობათა მთელი თანხა 8 ათას მანეთს უდრის.

შ. მესხიშვილი აღნიშნავს, რომ შარშან თავ.-აზნაურობის შემოსავალი წრევანდელზე ნაკლები იყო, მაგრამ წ.-კ. საზოგადოებას მეტი მისცეს. კიდევ იმეორებს, რომ უნდა მოისპოს ყოველივე პირადი სიმპატიისა და მოსაზრების წყალობით არსებული შემწეობანი და წ. კ. გამავრც. საზოგადოებას გადაეცესო.

გ. დ. ყანჩაძე აღნიშნავს, რომ სრულიად ლოღიკური იქნებოდა იმათ მხრით, ვინც გუშინ გიმნაზიის წინააღმდეგ ლაპარაკობდა, დღეს ამ სასწავლებელთა დახმარების წინააღმდეგიც ყოფილიყვნენ, მაგრამ გუშინდელ მომხრეთ დღეს ნება არა აქვთ ამისაო.... (ხმაურობაა).

თ.-დ. ჯორჯაძე. უკაცრავად, ეგ ჩვენი გიმნაზიაა და აქ კი სხვისი!

ა. ყანჩელი შენიშნავს, რომ გიმნაზიის გუშინდელი მოსარჩლენი სწორედ ამ თანხის წინააღმდეგნი იყვნენ მაშინვე და თქვენ კი დღეს ხმა მიეცით ამასაო.

ნასიძეს (ეგ მესამე ორატორია, ქართულად ვინც ილაპარაკა: რატიშვილი და ყიფიანი) უკვირს იმათი საქციელი, ვინც გუშინ კლასიკურ განათლების წინააღმდეგობას იჩენდა, (უთითებს მ. ვ. მაჩაბელზე) დღეს მომხრენი არიან მთელი რიგი სწორედ ასეთივე კლასიკური სასწავლებლების მხარის დაჭერისა. უნდა გამოიყოს (მე-13 მუხლის) ყველა არზებიდან რამდენიმე საყურადღებო; 10 ათას მანეთიდან ხუთი მათ დაურიგდეს და ნ-ც უნდა გაუნაწილდეს წ.-კ. საზოგადოებასა და წინამძღვარიანთ სკოლას.


მიიღება ხელის მოწერა

**არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:**

**„ჩვენი საზოგადოებრივობა“.**

**შინაარსი:** ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს.

(20—1326—9)


გ. ს. მესხიშვილი შეეხო ჩვენ ბედში მყოფ ერისათვის ისეთ დაწესებულების მნიშვნელობას, როგორიცაა ისტორ.-ეთნოგრაფიული საზოგადოება, რომელიც სცდილობს შეგვინარჩუნოს ჩვენი ძველი დიდების და კულტურის ნაშთნი. ამ საზოგადოებისათვის საჭიროა ნ ათასი და უნდა მიეცესო.

თ.-დ აბხაზი აღნიშნავს დრამატ. საზოგადოების ვალის საკვირველობას. ერთი რომ ჩვენ მივაქირავეთ შენობა ისეთ საზოგადოებას, რომელიც ცხადია ვალს ვერ გადაიხდის; მთელი 6 თვე გავიდა და 8 ათასი ვალიდან 8 კაპეიკიც არ გადაუხდიათ და ვერც გადაიხდიან. ამასთანავე ჩვენდა დაუკითხავად საკრებულოს ამ ჩვენი მოვალისათვის 2 ათასიც წინდაწინ უსესხებია.

ბოლოს თ-დ ჯორჯაძე და ყანჩელი ითხოვენ დაისვას გადასაწყვეტად კითხვა მე-13 მუხლის შესახებ ამ სახით: გამოჰყონ ცალკე მუხლებად:

ა) დრამ. საზ.

ბ) „განათლების“ საზოგ.

გ) ლიტერატორთა საზოგადოება.

დ. ფილარმონიული ს.

ე. ეთნოგრაფიული საზ.

და სხვები კი მიენდოს გადასაწყვეტად საკრებულოს.

მეორე წინადადება საკრებულოსია ე. ი. დარჩეს როგორც არის.

თავმჯდომარემ ხმა ჩამოუყარა ამ უკანასკნელს.

თ დ. ჯორჯაძე უკმაყოფილებას აცხადებს ასეთ საქციელზე და გადის დარბაზიდან. მას რამოდენიმე კაცი გაჰყვა. კრებამ საკრებულოს წინადადება მიიღო.

კრება 15 ივნისს საღამოსათვის გადაიდო.

**შენიშვნა** გუშინდელ ანგარიშებში არ არის მოყვანილი რიცხვი თ-დ. გ. დიასამიძის და თ-დ. გ. ამირეჯიბის კრებიდან დათხოვნის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა. თ-დ. გ. დიასამიძის დათხოვნის მომხრე იყო 49 წევრი, წინააღმდეგი 31; თ-დ. ამირეჯიბისა მომხრე—51 და წინააღმდეგი 28.

## ხმა ქვემო ქიზიყიდან

წინად ამაყი ქიზიყი და დღეს აქამომდე მშრომელი და საქართველოს სხვა კუთხის მოძმეთა მასაზრდოებელი პურით თუ ქერით, ღვინით თუ მატყლით და მიწის სხვა ნაყოფიერებით, დღეს უყურადღებოდ და აბუჩად აგდებულია როგორც მთავრობის, ისე მოძმეთა და ადგილობრივი სამეურნეო თუ სხვა დაწესებულებათა მხრივ. როდესაც ქიზიყელი გულის წყრომით ამბობს ამ სიტყვებს, მა'მინ მას ორი რამ აქვს სახეში: 1, ქიზიყის სოფლებზე აცილება მომავალ რკინის გზისა და 2, ამერიკული ვაზის სანამყენების აშენება მერმისში. განა აბუჩად აგდება არ არის, როდესაც ქვემო-ქიზიყი ყოველ წლივ ასაზრდოებს ნახევარს სიღნაღის მაზრისას, დაწყობილი ს. კარდენახიდან, ვიდრე ვეილის-ციხემდის და, ასაზრდოებს მთლად თელავის მაზრას. აიღეთ მაგალითად 1908 წ., როდესაც თუ არა ქვემო-ქიზიყი, მთელ თელავის მაზრაში და თიანეთისაც კი „ოდესის“ მწარე ფქვილით ნალველა გაუსივდებოდათ, თუ მას პური არ მიეწოდებინა (რასაკვირველია, ფასად,—ფუთი ხორბალი იყიდებოდა 55-60 კ.). აი ამ მასაზრდოებელს მშრომელს ქიზიყსა სცდება მომავალი რკინის გზა და გადის თავადებისაგან გაცრცვნილ-გალატაკებულ ჩალაუბან-კახელებზე: საკვირველ არიან გაუგებრობანი!..

გარდა ამისა იცით, ბატონებო, სიმდიდრე და სინოყივრე შირაქის ველმინდვრებისა? რაოდენობა ერთი წლით მოთიბული თივისა გამოჰკვებავს არა თუ თელავისა, არამედ მთელ ტფილისის გუბერნიის საქონელს. თივის თვისება-ნაყოფიერება—ხომ დამტკიცებულია, იგი ქერის სინოყივრესა სჭარბობს. იცით ყველა ეს? იცით წიგნით და არა საქმით, ან სულ არ იცით.

რაღა პასუხს მისცემთ თქვენს თავს, როცა მოკლე მომავალში შირაქი გაშენდება მცხოვრებლებით, როგორც დღეს არიან სოფლები რუსებისა: „შევჩინო“, ქართველებისა „ქედი“ და სხ. სოფლები?

რა პასუხი მივცეთ ქვემო-ქიზიყის მევენახეთ, როდესაც ქიზიყის მარტო რვა სოფლის ვენახები სივრცით და მოსავლით თუ არა მთელის, ნახევრის მცხოვრებთა ვენახების სივრცეს მაინც უდრის?

კიდევ სათქმელი: სირგვლე ქიზიყის სოფლებისა, რომელზედაც უნდა შემოევლოს რკინის გზას და მისულიყოს სადგურად „საქობო - წნორზე“ მანძილით თითქმის ეთანასწორება ჩალაუბან-ვეჯინ-საქობოს ხაზს. გარჩევა იქნება 5—7 ვერსის მანძილით და ნუ თუ ეს მცირე მანძილი უშლის ხელს! მაგრამ არა... ესეც საკმარისია გავიგოთ, რომ ქვემო-ქიზიყი ან აბუჩადაა აგდებული, ან არა და რკინის გზა იყვანება კერძო და არა ფართო საზოგადოებრივის ინტერესით.

ქიზიყელი ამაყია, იგი გულ დამშვიდებით ამბობს: „რკინის გზა მომიტანს რასმეს, მაგრამ იგივე ბევრს წამართმევს“. ეს ისე სადარდებელი არ არის, როგორც იგი დააღონა ფილოქსერის მოახლოვებამ, როგორც ეს გადმოგვცა მაისის ბოლო რიცხვებში საფილოქსერო კომიტეტიდან გამოგზავნილმა ბ. იო—ანმა, ბევრს დაურიგდა წიგნაკი—დარიგება „ფილოქსერა“, თარგმნილი ვ. რცხილაძის მიერ და თვით უ. იო—ანისაგან რიგიანი და ძმური დარიგებაც მოისმინა ქიზიყმა. ოღონდ გულში დარდად ჩაყოლია ის ადგილი წიგნაკისა, სადაც ნათქვამია: „რუსეთის მთავრობამ განიზრახა შიდა კახეთში კისის-ხევში და სხვაგან ამერიკული ვაზი გააშენოს სანამყენოდ“. გულში დარდი გავივლეთ, ვაი თუ ასეთი სანამყენეები ისევე ასცდეს ქ. ქიზიყს, როგორც რკინის გზა!

როგორც საფილოქსერო კომიტეტს, ისე სხვა გულ-შემატკივარს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ ამ მხრივ მაინც უყურადღებოდ არ დარჩეს ქ. ქიზიყი. როგორც „სახალხო გაზეთი“ აცხადებდა, მთავრობას განზრახვა აქვს, კისის-ხევის გარდა, კიდევ ორი სანამყენე იქონიოს კახეთში. ქიზიყი ხომ იგივე კახეთია. სულ უანგარიშობა იქნება ერთი ამ სანამყენეთაგანი ქვემო ქიზიყში არ გაიმართოს იმ მოსაზრებით, რომ ეს მხარე ადგილ-მამულით და ვენახებით უდრის, და მეტიც არის ადგილ-მამულებზე მთელ თელავის მაზრისა.

ამას თან დაუმატეთ სურვილი ქიზიყელებისა „პლანტაჟით“ ვენახების გაშენებისა და თუ ეს სანამყენეები იმავე „შიგ-კახეთში“ მოათავსეს, მაშინ, ქიზიყელი ამბობს: „ეს ხომ გაუგებრობა და აბუჩად აგდება იქნება, მით უმეტეს, რომ ფილოქსერა, საუბედუროდ, ჩვენზე უფრო ახლოა, ვიდრე ზემო კახეთზე“.

რაც შეეხება სანამყენეებისთვის ადგილის შოვნას, ეს ადგილებიც მოიპოვება: 1, წნორის სადგურის მახლობლად და 2, ს. ჯუგაანის ბოლოს, ადგილ „ქუმბათზე“, რა ადგილებიც ეკუთვნით სომხებს, სივრცით 8—12 დესეტინამდის, და იგინი დიდის სიხარულით გასცემენ ამ ადგილს ხანგრძლივის იჯარით.

იმედია, რომ ამ საქმეს მაინც ყველა გულშემატკივარი ყურადღებას მიაქცევს.

**ქიზიყელი.**

## პატარა ფელეტონი

### უბედს უბედივე გაახუმებს.

ორი ქართველი საზოგადო მოღვაწე შეხვდა ერთმანეთს გოლოვინის პროსპექტზე.

**პირველი.** წახდა, გაფუჭდა, შერცხვა, ლაფი დაესხა, გაირყვნა, დამცირდა, გათახსირდა....

**მეორე** (გაოცებული). მოიცა, მოიცა. რა ამბავია! თავად-აზნაურობის კრებიდან ხომ არ მოდიხარ?

**პირ.** (სხაპა-სხუპით). უკუღმა მოდის, წაღმა ტრიალებს, კისერს]იტეხს, ყირაზე გადადის.

**მეორ.** შენ, ეი, იქნება რომელიმე რედაქციიდან მოდიხარ?

**პირ.** ფეხებს იმტვრევს, ბრმავდება, ყრუვდება, იგინება, ილანძღება.

**მეორე.** (ქუდს მოუხდის) ნახვამდის, ჩემო კარგო! როცა გაათავო ჩემთან შემოიარე მცირედენი საქმე მაქვს, ნახვამდის!

**პირველი.** მაშ არ გინდა ყური დამიგდო? საბედისწერო საკითხია გამოსარკვევი და შენ კი..,

**მეორე.** დიდად გმადლობთ, არ მცალიან. ეხლანდელ ქართულ ენაში იმდენი სალანძღავი სიტყვებია, რომ თუ ყველა ჩამოვთვალე, ჩემი და შენი სიცოცხლეც არ ეყოფა.

**პირველი.** ჰა-ა-ა! ეს დიდებული რამეა! ეს პროგრესია ენის! ეს სიმდიდრეა ენისა!

**მეორე.** გმადლობთ, გმადლობთ, მაგრამ ასეთ სიმდიდრეს სიღარიბე მირჩევნია.

**პირველი** (მუშტის მოღერით). მაშ შენ ქართულ ენის მოწინააღმდეგე ხარ? შენ. .. ქართველი, პატრიოტი, ნაციონალისტი, პროგრესისტი, სოციალისტი, დემოკრატი, სამშობლოს თაყვანისმცემელი, მისთვის თავ-განწირული სულით, ხორცით.

**მეორე.** კმარა, კმარა! იწამე ღმერთი და სული მომაბრუნებინე.

**პირ.** სულიც ქაჰქრეს შენი და ხორციც—

**მეორე.** რა უბედურებაა, რა დაგემართა! რა ამბავია, რომ სულ სიტყვა სიტყვაზე, „ბეკოს ჯორის ტლინკებით“ მომაყარე.

**პირ.** რაო? ბეკოც შენა ხარ, ბეკოს ჯორიც, ცხენიც, ვირიც, ძროხაც, გოჭიც, ღორიც, ქათამიც, ინდაურიც, სპილოც, ბატიც, ვეფხიც, ძაღლიც, ლომიც, კატაც.

**მეორე.** უკაცრავად.. უკაცრავად. ნახვამდის (ქუდს მოუხდის და მიდის) იცი რა გითხრა? არც დღეს მექნება თავისუფალი დრო და შემდეგ შემოიარე—ნახვამდის!—

**პირ.** შეჩერდი, შე უსინდისო, უნამუსო, გაიძვერა, უზდელო—

**მეორე.** მაკმარე, მაკმარე, ღვთის გულისათვის! შემინდე და მაპატიე... შევცოდე მე უბედურმა; არ ვიცოდი, თუ კი ასე დახელოვნებული იყავი! ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი ბრძანებულხარ და გირჩევ ან „ზაკავკაზიეში“ ან „ზაკავკაზ რეჩში“ შეხვიდე... იქ ფრიად საჭიროა შენებური თანამშრომლები... ბოდიშს ვიხდი—

**პირ.** „ზაკავკაზიეც“ შენა ხარ და „გოლოს კავკაზიც“. მე შენ ვინ გონივარ?

**მეორე.** მე.. არაფერი არ—

**პირ.** რაო? არაფერი? მაშ ბუზი ვყოფილვარ, კოლო, კრაზანა, ფუტკარი, ჭიანჭველა, ხარაბუზა.. მე შენ ]არაფრად მაგდებ? მე შენ პატივს არა მცემ? მე შენ,..

**მეორე.** ვაიმე, მიშველეთ (ეცემა), რჯული, ხატი, ჯვარი, სკამი, შკაფი, ქრისტე, ღმერთი, ან.. გელოზი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ქვესკნელი, გრამატიკა, ლექსი, ლანძღვა, გინება—

**პირ.** (გაოცებული) ვა! ვა! ვა! ეი, ეი!—

**მეორე.** გაზეთი, ჟურნალი, კუთხე, ხაზი, გეომეტრია, სახლი, ტარტაროზი, ქაჯი, კუჭი, მუცელი, ხუნაგი, ჭირი შავი და თეთრი—

**პირ.** უჰ! მოითმინე.. მოითმინე—.

**მეორე.** სტატია, წერილი, მოთხრობა, რომანი, დრამა, „შოლტი“, ხუნდაძე, კაკაბაძე, იმნაიშვილი, აბულაძე, მარი, აკაკი, ილია, ნიკო, ტატიშვილი, დადიანი, ნაკაშიძე—

**პირ.** ვაიმე, ვაიმე! რავქნა ახლა!

**მეორე.** ღამე, დღე, ბნელი, შავი, წითელი, ყვითელი.

**პირ.** ვა-ა-ა! მიშველეთ... მიიღეთ მოწყალება.

**მეორე.** მოწყალება, მათხოვარი, წმინდა გიორგი, მამაოჩვენო, დასულისაცა, მამისათანა—

**პირ.** (გაქცევას აპირებს) შენ.. შენ.. ნახვამდის მეგობარო, დიდად სასიამოვნო... ნახვამდის—(მირბის)

**მეორე.** ა-ჰა! ხომ გაგახუმე? მე გახლავარ ბიჭი! ბრავო მე და ჩემმა ღმერთმა. გენიოსი ვარ, გენიოსი. ხომ გაჯიბე? მაგრამ უჰ! რა დავიღალე: თურმე მეც ორატორი ვარ: როცა თავად-აზნაურთა კრება იქნება, მე კრების წინააღმდეგ უნდა გავილაშქრო. მაშ რა გეგონა! ტუტუცო!

**მეფისტოფელი.**

## ალბანეთის აჯანყება

**დეპეშა**

14 თიბათვე.

**ცეტინიე.** ალბანელებმა მემორანდუმი შეადგინეს. მემორანდუმში აღნიშნულია ალბანეთის ერთგულება, სამსახური ოტომანის ტახტის წინაშე, ალბანეთის შევიწროება. ალბანელები თხოულობენ თავდებობას, რომ მთავრობა კონსტიტუციის წინააღმდეგ აღარ წავა, ალბანელთა ზნე-ჩვეულებანი და სარწმუნოება აღიარებული იქნება და ალბანელებს ისეთივე უფლებანი მიენიჭებათ, როგორც სხვა ერებსა აქვთ. განათლება სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს, ალბანეთში მოსამსახურე უმაღლესმა მოხელეებმა უნდა იცოდნენ ალბანური ენა და ზნე-ჩვეულებანი. დანარჩენი მოხელენი, უეჭველად ალბანელები უნდა იყვნენ. სასამართლოებში ალბანური ენა უნდა იხმარებოდეს, ოსმალური ენა კი ოფიციალურ ენად რჩება. მშვიდობიანობის დროს, სამხედრო ბეგარა ალბანელებმა ადგილობრივ უნდა მოიხადონ. საზღვრებზე მცხოვრებლები სამხედრო ბეგარის მოსახდელად საზღვრის დასაჭერად უნდა გამოვიდნენ. ხალხი იარაღს არ აიყრის. ფოსტის, საბაჟოს და სხვა სპეციალურ შემოსავლის გარდა, მთელი შემოსავალი ალბანეთს უნდა მოხმარდეს. ალბანელთა წარმომადგენლებს უფლება უნდა ჰქონდეთ ვილაეტების ხარჯთ-აღრიცხვა შეიმუშაონ და ფულის ხარჯვასაც მეთვალყურობა გაუწიონ. მთავრობამ გადამწვარ სახლების ასაშენებლად ფული უნდა გადასდოს.

ალბანელ მეთაურთა წარმომადგენლებმა და ალბანეთის ნეაპოლიტანურ სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარემ ეს მემორანდუმი მეფესა და სახელმწიფოთა წარმომადგენლებს დაუგზავნეს.

**გაზეთებიდან**

სულთანის მოგზაურობამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ალბანელები ვერ დაამშვიდა, გული ვერავის მოულბო. ეხლა პორტა სცდილობს თავისი მარცხი დაჰფაროს და ჩვეულებისამებრ ყველაფერი სხვას მოახვიოს თავს. ეს მიზანი აქვს ოსმალეთის პრესას, ხმას რომავრცელებს, ვითომ ჩერნოგორია მალისორებს აქეზებს, იარაღს ნუ დაჰყრით, კიდევ იბრძოლეთო. გაზეთები იმასაც ამბობენ, ჩერნოგორია ცეტინიეში მყოფ ალბანელებს ოსმალეთის დაპირებათა ნამდვილ აზრს უხსნის და პორტას ამ აღთქმულის დადასტურებას წერილობითა სთხოვდაო; ჯერ ჯერობით კი, ჩერნოგორიის მთავრობამ გაქცეული ალბანელები შუა-გულ ჩერნოგორიაში გაჰგზავნაო. ოსმალეთის პრესა ჩერნოგორიას ამასა სწამებს იმის გამო, რომ ავსტრია პორტას ძალას ატანს. ავსტრიის ელჩი პალლავიჩინი ყოველ-დღე ელაპარაკება ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრს რიფაატ ფაშას, ალბანეთს ავტონომია მიეცითო. ამიტომ ოსმალეთიც სცდილობს ყველა უბედურების მიზეზად თავისი მტერი დასახოს. ამასთანავე, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, პორტამ უცხო სახელმწიფოებს შეუთვალა: დღეის შემდეგ ოსმალეთი არავითარ რჩევა-დარიგებას აღარ მიიღებს და ყოველ ამისთანა განცხადებას, თუნდ მეგობრულს, პორტა შინაურ საქმეში ჩარევად ჩასთვლისო. ეს განცხადება ოსმალეთმა მხოლოდ სხვის თვალის ასახვევად გამოსცა, რადგანაც ყველასათვის ცხადია, რომ ავსტრიას ოსმალეთზე დიდი გავლენა აქვს.

შენი ერთგული—სულ ყველა გმირია, მეფეო!—უპასუხა დიდებულმა.

ამ დროს ერის უბრალო ხალხმა მოაწია მოედანს, მხიარულის სახით მოდიოდნენ. ბავშვებს ხელთ ეპყრათ აკოკრებული მწვანე შტოები, ქალებს ია-ვარდიდან შეკონილი თაიგული, მამაკაცებს ახალი პურის თავები, ახალი სიმინდისა ტარის ნაირფეროვანი წვერები. მოვიდნენ, თაყვანი სცეს მეფეს და ქებით და დიდებითა მიართვეს აკოკრებული შტოები, პურისთავები, სიმინდის ტარის წვერები...

მოულოცეს დღესასწაული და აღდეგრძელეს მეფე.

— მსურს ვიცოდე, ვინ მოსწყვიტა ზღვის ფსკერს მარგალიტის თვალი, ვინ შეიპყრო ცოცხლად ჯადო ქვის მატარებელი ირემი? მსურს ნახვა მისი, რომ ღირსეულად დავაჯილდოვო!

არ წყნარდებოდა მეფე.

მაშინ მის წინ წარსდგა ორი ყრმა. მათს სავსე სახეს დღის სინათლე კრძალვით კოცნიდა და ნათელი შორი-ახლო ეთამაშებოდა. ხოლო ორივეს თვალები მწუხარე ჰქონდა. პირ-ქუშად იდგნენ.

შეხედა მეფემ, თვალები გაუბრწყინდა, მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა.

— რად მოგიწყენიათ, ვეფხნო? გარს რომ ნათელი გახვევიათ, რატომ არ ეთამაშებით?

— არაფერი, დიდო მეფეო! დაე, ამოვარდნენ გულის სევდის უდროვო დროს გამცემნი ოვალები!

მეფემ ბრძანა გაემხილათ გულისნადები. როდესაც ყრმებმა ვერ გაბედეს, წინ წარსდგა ერთი მოხუცი და ჰკადრა მეფეს:

— ერთმა ამათგანმა, დიდო მეფეო, ზღვის ფსკერზე დასტოვა ას ოთხმოცდა ცხრამეტი ძმა მეგობარი იმ ძვირ მარგალიტის ძებნის დროს, მეორემ იმდენივე მთაში დასტოვა იმ ირემის შეპყრობის დროს.

გული შესტკივათ ძმებზე, ვაჟკაცებზე!! ნუ გაამტყუნებ, დიდო მეფეო!

წარბები შეეკრა მეფეს და ჯავრი შავს ღრუბლად გადაეკრა სახეზე.

განშორდნენ ხალხს დამწუხრებული დედები და დადაღულებმა თაყვანი სცეს მეფეს.

უფრო შერისხდა მეფე. გასტყორცნა განზე ძვირი მარგალიტი, განიშორა ირემი.

— ეს მწვანე შტო, ეს თაიგული, ეს პურის თავი და ნორჩი სიმინდის ტაროს წვერი თქვენ მიერ შემოწირულნი მიდღესასწაულებენ ამ დღეს. ხოლო ეს მარგალიტი, ეს ირემი და ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი რაზმი მიგესლმწარებენ სადღესასწაულოდ მომართულს სულსა და გულს!!—ბრძანა ასე მეფემ და ჩამოვიდა ტახტიდან. გაიძრო მეფური ტანთსაცმელი, შეიმოსა უბრალოდ, ხელთ დაიჭირა აკოკრებული მწვანე შტო და ხალხთან ერთად გაემართა ტაძრისაკენ...

გაიღო ტაძრის კარები და ნათელი მიეგება მათ.

**ლეო ქიაჩელი.**

ყველაზე ცუდი ოსმალეთისათვის ის არის, რომ ევროპამ ახლგაზდა ოსმალეთისადმი ყოველივე ნდობა დაჰკარგა. ამ დღეებში იტალიისა და ავსტრიის ელჩებს ოსმალეთისათვის უნდა განეცხადებინათ: რომ ოსმალეთ-ჩერნოგორიის დამოკიდებულება ავსტრიასა და იტალიას სერიოზულად აშფოთებსო. ამავე დროს ხმაა გავრცელებული, ავსტრია ოსმალეთსა და ჩერნოგორიას ომამდე არ მიიყვანსო. მაგრამ თუ ომი არ მოხდა, ან რომელიმე სახელმწიფო ენერგიულად არ ჩაერია საქმეში, ალბანეთი ვერაფერს ვერ მიიღებსო. ალბანელების საქმე იმ თავიდანვე უნდილად დაიწყო. მას ის ცეცხლოვანება, ის სიძლიერე არ ეტყობა, რომელიც ჩვეულებრივ ახლავს ერთსულოვან აჯანყებას. შესაძლებელია, ალბანელებმა იარაღიც დაჰყარონ და იმ ნასუფრალით დაკმაყოფილდნენ, რასაც თურქეთ-ფაშა ჰპირდება. ერთ დიპლომატს უთქვამს, ალბანეთის ავტონომიაზე ფიქრიც კი მტკნარი ოცნებააო და თუ ალბანელებს არავინ მიეშველა, მათი საქმე ცუდად წავა. იტალიის თავისუფალმა მეომრებმაც უმტყუნეს. გარიბალდიმ საქმე დიდი რიხითა და ზეიმით დაიწყო, მაგრამ ბოლოს მიყუჩდა. წინედ იგი ამბობდა: გაზაფხულზე ალბანეთში სამი ათასი მეომრით გადავალ და ოსმალელებს ერთის შეტევით დავამარცხებო. ეხლა კი გაჩუმებულია. მიზეზი არავინ იცის. უეჭველია დაარწმუნეს გარიბალდი ხელი აეღო თავის განზრახვაზე.

# უცხოეთი

**ინგლისის მეფე-დედოფლის დაგვირგვინება.**

მთელი წელიწადი ემზადა ინგლისი თავის მეფის დასაგვირგვინებლად და ეხლა დიდის ამბითა და ზეიმით გადიხადეს ეს დღესასწაული. დაგვირგვინებას წარმომადგენელნი დაესწრნენ თითქმის მთელი ქვეყნისა. ამ თვის 8-ს, დაგვირგვინების დღეს, ლონდონს არა სძინებია. ყველა იქით მიეშურებოდა, სადაც მეფე დედოფალს უნდა გაევლო. საბატოს წინ ხალხის ჰქედვა იყო. თვით საბატო (ეკლესია) ცის ფერად იყო მორთული. შიგ ელაგა მეფე-დედოფლის სამკაული. ყველაზე შესანიშნავია დიდი ბრილიანტი „კულინანი", რომელიც მეფის გვირგვინშია დატანებული და დედა-მიწის ზურგზე ყველაზე დიდი ბრილიანტია. გრძელი პროცესია მრავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. ამას გარდა აქ იყვნენ ინგლისის კოლონიების წარმომადგენლები, ყველა ოქროსა, ვერცხლსა და ჭრელ ტანისამოსში იხსდა. პროცესიის ბოლოში მეფე-დედოფალი მოსდევდა გრძელი პორფირებით. როცა მეფემ თავზე გვირგვინი დაიდგა მთელ ქალაქში ზარების წკრიალი და ზარბაზნების სროლა ასტეხეს. შემდეგ დაიწყო მილოცვები. ინგლისის წესისამებრ, სამეფო გვარეულობის წარმომადგენელნი მეფეს მარცხენა ლოყაზე ჰკოცნიდნენ.

ლონდონში 50.000 ჯარის-კაცია. ქუჩები ხალხითაა სავსე. იმართება ათასნაირი გასართობები. ყველაზე საყურადღებოა ეგრედ წოდებული: „ლონდონის სანახაობა". სანახაობა გამართულია ლონდონის მახლობლად „ბროლის სასახლის" წინ. ეს სანახაობა ჯერ ისევ შარშან იყო მზად, მაგრამ ედუარდ VII სიკვდილისა გამო წრევანდელი დღესასწაულისათვის გადიდო. სანახაობა მინდვრად გამართეს. მაყურებელნი დიდ ამფითეატრში ისხდნენ. მათ წინ გადაშლილი იყო დიდი მინდორი, რომლის ბოლოსაც ცყე მოსჩანდა, ხეებს შუა ტბა, რომელზედაც უბრალო ხიდი იყო გადებული. მინდორზე ქვისაგან რაღაც იყო აშენებული. ეს ისტორიის წინა დროინდელ ბრიტანიას წარმოადგენდა. სანახაობის გამგემ ერთი დაუსტვინა და ტყიდან საშინელი ღრიანცელი მოისმა. მინდორზე ხალხი გამოიფანტა. გაბურძგნულ მამა-კაცთ ნადირის ტყავი ეცვათ და მოკლულ დათვს მოათრევდნენ; ქალებმა ცეცხლის გაჩაღება დაიწყეს. მთლად ტიტლიკანა ბავშვები ტბაში ბანაობდნენ. ქურუმნი ლოცულობდნენ. მეომრებმა ფარებით თავიანთი მეთაური აღწევს. ეს პირველყოფილი დაგვირგვინება იყო. შემდეგ მოცვივდნენ მზვერავები და ამბავი მოიტანეს, რომ მტერი მოდისო. ამ დროს გამოჩნდა რომაელების ძლევა-მოსილი ჯარი. გაჩნდა ბრძოლა, რომაელებმა გაიმარჯვეს. შემდეგი სურათი მარკ ავრელიის ლონდონში შესვლას წარმოადგენდა. ეხლა ტყე-მინდორის მაგივრად ქალაქი უნდა გაშენებულიყო. ერთბაშად ხატი ტყე დაწვა და ძველი ლონდონი გაჩნდა, სადაც იმპერატორი ეტლით შემობრძანდა. ამის შემდეგ სულ სხვა და სხვა სურათები გამოდიოდა. სურათები ინგლისის ისტორიიდან იყო აღებული. სანახაობამ 4 დღეს გასტანა. სანახაობის ბოლოს პატრიოტული აპოთეოზი გაიმართა: ინგლისის წინ თავი მოიდრიკა მისმა ყველა კოლონიამ.

სანახაობაში მონაწილეობას იღებდა 500 კაცი. აქ რეჟისორი მხატვარი კი არა სარდალი უნდა ყოფილიყო, რომ მთელი ამოდენა ჯარი თავის რიგზე დაეყენებინა და ეთამაშებინა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 თიბათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** კაიომ სხვადასხვა პირთ მიჰმართა და ახალ კაბინეთში შესვლა სთხოვა. ლეონ ბურჟუამ გარეშე საქმეთა მინისტრობაზე, ავადმყოფობის გამო, უარი განაცხადა. პუანკარემ პასუხი სხვებლიოდ გადასდო. თუ პუანკარემ უარი განაცხადა, კაიო დესელვს მიჰმართავს. კაიო პალატის სესიის გაგრძელებას, ბიუჯეტის და მეღვინეთა ოლქების დანაწილებას მოითხოვს.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატებს ამ 11 თვეში $1573^{1}/_{2}$ მილიონი დოლარის (დოლარი 2 მ. 50 კ.) საქონელი გაუტანია. შარშანდელთან შედარებით 146 მილიონით მეტია.

**ლონდონი.** საკონსტიტუციო კრიზისი გამწვავდა.

**თავრიზი.** ნოიკანის ოლქში სომხების 6 სოფელი ყარაჯაგარის ხანმა აიკლო.

ხოიდან იტყობინებიან, წმ. ფადეის მონასტრის წინამძღოლი სომეხი მოჰკლესო.

**პარიზი.** კაიოს მოლაპარაკება დასრულდა და რამდენიმე საათის შემდეგ კაბინეტი მთლად შესდგება. სამხედრო მინისტრად მისსიმი იქნება, ვაჭრობისა კუიბე, ახალშენებისა—ლებრენი.

**რ უ ს ე თ ი.**

**იაროსლავი.** სამაზრო საერობო კრებამ სკოლების ასაშენებლად 1912 წლისათვის 130 ათასი მან. გადასდო.

**პეტერბურგი.** დაატუსაღეს სახაზინო არყის დუქნების ფულის ამკრეფი, რომელსაც 25,000 მან. გაფლანგვა ჰბრალდება.

დონის-როსტოვის ქალაქის თავად კირიანოვი დაამტკიცეს.

**ეკატერინებურგი.** ქალაქი 5 მილიონიან სესხსა თხოულობს. ფული ქალაქის მოსაწყობად და ძველ ვალების გასასტუმრებლად სჭირდებათ.

**პეტერბურგი.** „რუსკოე ზნამიას" მე-125 ნომერი აკრძალეს, რედაქტორი დუბროვინი 1034 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

ფინანსთა მინისტრმა სპარსეთში შაქრის გატანა ერთი მილიონი ფუთიაა გაადიდა. მიზეზი ის არის, რომ სპარსეთში შაქრის მოთხოვნილებამ იმატა.

1 აპრილისათვის საგლეხო ბანკის პიწის ფონდი 3.575.312 დესეტინა იყო. ბანკებისათვის მიუყიდნია 168,031, გლეხებისათვის 168.310 დეს.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. სურამი.** 12 თიბათვეს სურამის ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ნიკო გვარაძის და სცენის მოყვარეთა დახმარებით ადგილობრივ თეატრში წარმოდგენა გამართა. წარმოდგენილ იქნა კარეევის სამ მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების გმირი" და ა. ქუთათელაძის ვოდევილი „უბედური დღე". წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ეტყობოდა უადრესი შრომა ბ. გვარაძისა, თუმცა ქალებმა როლები კარგად არ იცოდნენ. კარგი იყო თვით გვარაძე პეტიას როლში. მესამე მოქმედებაში, როდესაც კარეევი მოდის შვილის სანახავად და სთხოვს შენდობას და აგრედვე, როდესაც პეტია უკანასკნელად სთხოვს თავის დანიშნულ მანიკას სიმღერას და კვდება,—მაყურებლებმა ქვითინი დაიწყეს. ხალხი ცოტა დაესწრო. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ადგილების სიძვირე. სასურველია დრამატიულმა საზოგადოებამ მართოს იაფ-ფასიანი წარმოდგენები, რათა მდაბიო ხალხს წარმოდგენაზე დასწრების საშუალება მისცეს. სასურველია ბ. გვარაძემ ყურადღება მიაქციოს სცენის მოყვარეთ, რომ სუფლიორისკენ არ იყურებოდენ და აგრედვე პიესების ზოგიერთ აქტების განზრახ გამოტოვებას, რაიცა მოხდა „ცხოვრების გმირის" დადგმის დროს.

ამ წარმოდგენიდან წმინდა მოგება დარჩა საზოგადოებას ათ მანეთამდე.

„მეთვალყურე"

—

**ყვირილა.** 7 ივნისს ადგილობრივ კლუბის დარბაზში ქართულმა დრამატიულმა დასმა, კ. მესხის მონაწილეობით ითამაშა „მილიონების კვალ და კვალ" 3 მოქ. თარ. ვ. გუნიასი. სალიტერატურო განყოფილებაში ახოსპირელმა და გრიშაშვილმა ლექსები წაიკითხეს. საზოგადოება დიდი ალტაცებით მიეგება ახალგაზდა პოეტებს.

ვანი.

—

**სიღნაღი.** წელს სიღნაღს გამოფხიზლება ეტყობა. გაიხსნა სასეირნო ბაღი ს. სპიკაშვილისა, სადაც იმართება წარმოდგენები. 22 ივნისს ადგილობრივი სცენის მოყვარენი წარმოადგენენ „რაც გინახავს ვეღარ ნახავ"-ს.

—

**მაჩხაანის** (სიღნ. მაზრა) ადგილობრივი სცენის მოყვარენი 26 თიბათვეს დასდგამენ გედევანიშვილის დრამას „მსხვერპლს". შარშან ამავე სცენის მოყვარეთ დასდგეს „ღალატი" და წარმოდგენამ საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა.

—

შაბათს, 18 ივნისს, სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მართველი წრის მიერ ალ. იმედაშვილისა და ბ. მდივანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შილლერის 5 მოქ. ტრაღედია „ყაჩაღები".

—

ქ. ანდრონიკაშვილი და შ. დადიანი კახეთში გაემგზავრნენ, სადაც ქართულ წარმოდგენებს გამართავენ.

# წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. მე კარგა ხანია გამოვედი გამგეობიდან „ქართულ გამომცემელ ამხანაგობისა" („ზაკავ. რეჩის" გამომცემელი ამხ.) და აღარ ვირიცხები წევრად ახლად არჩეულს გამგეობისა, რომელსაც აქნობამდე არ აცხადებენ. ვინაიდგან „ამხანაგობამ" ვერ მიაღწია მიზანს და კიდევაც გადაუხვია—რო არ ელება ბოლო ურთიერთა გაბიაბრუებას და გათახსირებასა,—ამიტომ თავს ვანებებ ნაამხაგობასაც და გამოვდივარ.

მღვდელი გასილ გრიგოლის-ძე კარბელაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ჩაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს.37 წ.

3) **სახალხო** მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხე კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსკენ:** 1) სამგზავრო N 6, I—II. კლ. გადის დილ 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარამი 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) ჩქარი მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუადღ. 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული** მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარამი 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო** მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) **საფოსტო** მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

**ბათომიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათომისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით. ბათომიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ- 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით. მორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

**სახალხო** მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის 4აშ, 3 ს. 26 წ.

**სახ.** მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

**სახ.** მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისო-სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან პაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა სააგარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა საჭიროების მიხედვით ივლის.

**ნ ი ს ხ ი**

**ეტლებით დღე და ღამე მიმოსვლა**

(მეეტლეებთან მოურიგებლად).

1. ქალაქში ერთ ადგილამდე . . 40 კ.
2. ქალაქიდან განაპირებში: ნავთლუხი, დიდუბე, ნაძალად., ბოტან. ბაღი, აგრედვე ვერის ბაღებში და უკან 70 „
3. ვაგზლიდან ქალაქში . . . . 70 „
4. ვაგზლიდან განაპირებში 1 მ. —
5. ვაგზ.-დან ნაძალად. და დიდუბეში 40 „
6. ქალაქიდან ვაგზლამდე და ყველა სასაფლაოებამდე . . . . 50 „
7. მე-16-ე მინგრელის პოლკის ბანაკამდე და აგრედვე უკან . 80 „
8. ქალაქიდან ქალაქის სამკურნალომდე ავლაბარში . . . . . 50 „
9. ფუნიკულერის სადგურამდე . 50 „
10. იქიდან უკან დაბრუნება . . 40 „


# განცხადებანი

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან• და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გევესკაია-ენგელი:** 6—6 1/2 ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—61)

**მუხრანის ხიდთან**

# სამკურნალო

**გ ა ი ხ ს ნ ა**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი** ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახპიახოვი**—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აზვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

**გ. ა. მელკონიანი**—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—90)

# „სამპსონინი"

**თმებისათვის**

საპონი ექ. დიდიძისა

იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).
(წლ.—1152—73)

**მშობიარეთათვის**

# თავშესაფარი

**ბებია-ქალის**

**თუხარელისა.**

ოლგას ქ., ბაბების ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 7-დან ნაშუადღევის 12 ს.
(თ.—1083—53)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

# ჭრა-კერვის

**წ ი გ ნ ი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით, ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.
(100—1140—46)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პირობებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრედვე პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, მიიღებს პირებ-ზამენიკიანებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის წინე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველ შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вакзала въ Нахаловкѣ. „შესავალი უმთავრეს კარებიდან".
(თ.—1084—21)

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში**

# იყიდება შემდეგი წიგნები:

**არჩილ ჯორჯაძისა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

**Bāto n-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**ვ. ყიფიანისა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრედვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

**საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა**

# სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების

**მ ა ღ ა ზ ი ა ს**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

# ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

**პარკისა და კოლოფებით**

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

**მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა**

**გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე. წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ. და ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)

**საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა**

**საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა**